აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 1

13 მარტი 2014 წელი **ქ. ბათუმი**

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე და თამარ ხოზრევანიძე.

არ ესწრებოდნენ: გია გარსევანიშვილი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. დადგენილება - საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ;

2. დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. დადგენილება - საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ;

2. დადგენილება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ;

3. სხვადასხვა.

1. დადგენილება

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტი რის შემდეგაც სიტყვა გადასცა უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსს ფრიდონ ბათნიძეს კომისიისათვის დეტალურად გაეცნო წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

უსკოს აპარატის იურიდიული სამსახურის უფროსმა ფრიდონ ბათნიძემ კომისიას დეტალურად გააცნო ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს:

არჩილ მიქელაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის დანართი 1-ის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში ასახული ინფორმაცია „ზ) თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი კვარტლურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში

ხოლო ყოველწლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია წლის დასრულებიდან სამი თვის ვადაში“ და აღნიშნა, რომ 60 დღე სრულიად საკმარისია. ასევე შენიშვნები გამოთქვა დანართში ასახულ რედაქციულ შეცდომებზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ, სხდომაზე გამოთქმული შესწორების გათვალისწინებით

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ლ“ პუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 37-ე მუხლის მე-4 პუნქტის და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესი დანართი 1-ის შესაბამისად.

მუხლი 2. დამტკიცდეს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

(დანართი თან ერთვის)

2. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილები პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნა არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი ,,აჭარა“ 23.05.2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. მე-10 მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა. ახდენს შემოსული და გასული ყველა სახის კორესპონდენციის მიღებასა და რეგისტრაციას, სისტემატიზაციასა და დროულად მიწოდებას შესაბამის სამსახურებისათვის.“

2. მე-10 მუხლის „თ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ. უზრუნველყოფს უსკოს მიერ მიღებული დადგენილებების გადაცემას სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესათვის“, მის ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით.“

3. მე-18 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. უსკოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირია კომისიის მდივანი.“

მუხლი 2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს „საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2014 წლის 13 მარტის № 1 დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **არჩილ მიქელაძე**

კომისიის მდივანი **ქეთევან ჯიქია**